

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი
პროგრამა არქიტექტურათმცოდნეობა

II კურსის დოქტორანტი ლიანა გიორგობიანი

ხელმძღვანელი თამაზ სანიკიძე

სემინარი

ქართული მრავალაფსიდიანი ტაძრები

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში გუმბათიანი თემის არქიტექტურული ფორმების მრავალფეროვნებიდან საინტერესო მოვლენა იყო გარდამავალი ხანის(VIII-IX ს.ს.) ბოლოს, X საუკუნეში, სრულიად განსხვავებული, ორიგინალური ფორმის მრავალაფსიდიანი ტაძრების გაჩენა. ქართულ ხუროთმოძღვრებაში ამ მანამდე უცნობი ტიპის, გეგმით ექვსაფსიდიანი ტაძრების წარმოქმნა, სავარაუდოდ, ტეტრაკონქის კომპოზიციის (ტეტრაკონქი კი ჩვენი სადისერტაციო თემის მნიშვნელოვანი ნაწილია) გადამუშავების შედეგი უნდა იყოს. აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის აზრით „ასეთი კომპოზიცია შეიძლებოდა აღმოცენებულიყო, როგორც ამოცანის დეკორაციული გადაწყვეტა ტეტრაკონქის თემის ახალ-ახალი ვარიანტების ძიების პროცესში“. ამ აზრს იზიარებს აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძეც, რომელიც ზოგიერთ ძეგლში, განსაკუთრებით გარდამავალი პერიოდის მიწურულისთვის (მაგალითად კვეტერა 10 ს.), ხედავს ტეტრაკონქის ფორმის დეკორაციულობისკენ სწრაფვას. ესტაძრები თითქოს საფუძველს ამზადებდნენ შემდგომშიგანსხვავებული ხუროთმოძღვრული ტიპის გაჩენისთვის. მართლაც, მალევე, ამ ტენდენციის შედეგი გახდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, შეიძლება ითქვას, თითქმის ერთდროულად, მრავალაფსიდიანი ძეგლების გაჩენა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ტიპის განვითარების პერიოდი მეტად შეზღუდულია ქრონოლოგიურ ფარგლებში და მიუხედავად დიდი პოპულარობისა XI საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ იგი წყვეტს თავის არსებობას საქართველოში.

ქართული მრავალაფსიდიანი ტაძრებიდან სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ცნობილია სულ რამდენიმე ძეგლი: გოგიუბა/გოგუბანი (ერუშეთი), ოლთისი, კიადმის ალთი/ქამჭისი(ტაო). (სამწუხაროდ, დღევანდელი მონაცემით სამივე განადგურებულია), კაცხის დიდებული ტაძარი იმერეთში, ჭიათურის რაიონში და ბოჭორმა კახეთში, გომბორთან, თიანეთის რაიონში. აღსანიშნავია, რომ გეგმით ექვსაფსიდიან ტაძართა ჯგუფს განეკუთვნება ქართული ხელოვნების ისტორიაში ყველაზე ცნობილი და კარგად შესწავლილი კიდევ ორი ძეგლი - კუმურდოჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად და ნიკორწმინდა რაჭაში, ამბროლაურის რაიონში. ხელოვნების ისტორიკოსები მრავალაფსიდიან ტაძართა ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე საქართველოსთვის ძალზე იშვიათ მოვლენას, გეგმაში რვააფსიდიან ტაძრებს, ტაო-კლარჯეთში მდებარე ორ ძეგლს: ტბეთის თავდაპირველ ეკლესიას, ტაოსკარს დახობის რაიონის ნოჯიხევს, სამეგრელოში.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალაფსიდიანი ტაძრები თითქმის ერთდროულად ჩნდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მაგრამ ქართული ხელოვნების ისტორიაში, მრავალაფსიდიანი ხუროთმოძღვრული ტიპის შესწავლისთვის,

განსაკუთრებული ადგილი ტაო-კლარჯეთსუჭირავს. ამ ტიპის ძირითადი ჯგუფის ძეგლებიდან- გოგიუბა, კიაღმის-ალთი და ოლთისი (აგრეთვე რვააფსიდიანი ტაოსკარი და ტბეთი)სწორედ საქართველოსისტორიულ პროვინციაში, ტაო-კლარჯეთშია თავმოყრილი.

XVI საუკუნიდან თურქეთისმიერმიტაცებულ ტაო-კლარჯეთშიან როგორც მას უწოდებდნენ „სამუსულმანო საქართველოში“არსებული ქართული ტაძრების, მათ შორის მრავალაფსიდიანი ტაძრების შესახებ, ცნობები მხოლოდ XIX საუკუნიდან ჩნდება უცხოელ მოგზაურთა წიგნებში. აქ იმოგზაურეს და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები აღწერეს: გერმანელმა მეცნიერებმა - ბოტანიკოსმა კარლ კოხმა და გეოლოგმა ჰ. აბიხმა. მდიდარი ქართული ეპიგრაფიკული მასალა შეაგროვა ვენეციელმა სომეხმა სწავლულმა ნ. სარქისიანმა. 1873 წელს ჯერ კიდევ თურქეთის გამგებლობაში მყოფ საქართველოს ყოფილი ტერიტორიები მონახულეს გიორგი ყაზბეგმა, 1874 წელს დიმიტრი ბაქრაძემ. 1888 წელს ტაო-კლარჯეთის ზოგიერთი ტაძრის სქემატური ანაზომები და ფოტოები, აგრეთვე ექსპედიციის ანგარიში გამოაქვეყნა რუსმა არქიტექტორმა აკად. პავლინოვმა, რომლის მასალაც დიდი ხნის მანძილზე მეცნიერთათვის ერთადეთი ხელმისაწვდომი წყარო იყო.

ქართველმეცნიერებს ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრობის შესწავლისთვის ხელსაყრელი პირობები XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეექმნათ, როდესაც რუსეთ - თურქეთის მორიგ ომში დამარცხებულ ოსმალეთს, 1878 წელს ბერლინში ხელმოწერილი ტრაქტატით, რუსეთმა ქართული ისტორიული მიწების დიდი ნაწილი წაართვა. სამწუხაროდ, 1918 წელს ბოლშევიკურ რუსეთსა და ოსმალეთის იმპერიას შორის დადებული ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით, მოგვიანებით კი 1921 წლის მოვლენების შედეგად, საქართველომ სამუდამოდ დაკარგა ეს ტერიტორია. მიუხედავად უძველესი ქართული პროვინციის გარშემო განვითარებული მძიმე ისტორიული მოვლენებისა, მეტად მცირე დროის მანძილზე, როდესაც ეს მიწები ხელმისაწვდომი იყო ქართველ მკვლევართათვის, მეცნიერთა ნაწილმა შეძლო მონახულებინა და აღწერა მანამდე სრულიად უცნობი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშები.

ტაო-კლარჯეთის ძეგლთა აზომვა-აღწერის საქმეში, ქართველ მეცნიერთა შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი ღვაწლი გამოჩენილ ისტორიკოს და ქართულ სიძველეთა მკვლევარს - ექვთიმე თაყაიშვილს მიუძღვის (ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამსამშობლოსთვის თავგანწირვისთვის ის წმინდანად შერაცხა). მან სამჯერ - 1902-1907 და 1917 წლებში - იმოგზაურა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში. ამ ექსპედიციების შედეგები

გამოქვეყნდნაშრომებში, სადაც პირველად იყო მოცემული მასალა ათეული, ჩვენთვის უცნობი ქართული ძეგლის, მათ შორის ექვსაფსიდიან ტაძართა შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ე. თაყაიშვილი ზოგჯერ აკეთებს ძალიან მოკლე, ზოგად აღწერას, ნახაზები სქემატურია და არ გადმოგვცემენ ნაგებობების ხასიათს, მაინც, ბევრ შემთხვევაში, ეს ცნობები უნიკალურია ვინაიდან ზოგიერთი ამ ტაძრებიდან დღეს უკვე აღარ არსებობს (მათ რიცხვს განეკუთვნება ზემოთ დასახელებული მრავალაფსიდიანი ტიპის სამი ძეგლიც), ანდა ძლიერაა დაზიანებული მას შემდეგ. მათი ღირებულების განმსაზღვრელია ისიც, რომ ტაო-კლარჯეთისძეგლები დიდი ხნის მანძილზე პრაქტიკულად მიუწვდომელი იყო ქართველი მეცნიერებისთვის.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციების შემდეგ ტაო-კლარჯეთში 1959 წლიდან კვლავ განახლდა მეცნიერული კვლევა. აქ მუშაობდნენ უცხოელი მეცნიერები ცოლქმარი ნ. და ჟ.-მ. ტიერები, დ. უინფილდი, რ. ედვარდსი და სხვ. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია აშშ-ში მოღვაწე ხელოვნებათმცოდნის, ვახტანგ ჯობაძის ღვაწლი, რომელსაცამ რეგიონის ქართულ ეკლესიებზე დღესდღეობით ყველაზე სრულყოფილი კვლევა აქვს ჩატარებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დამყარებულმა კეთილმეზობლურმა ურთიერთობამ შესაძლებელი გახადა ქართული კულტურის ძეგლთა შესწავლა. უკვე ახალი თაობის მეცნიერთა მიერ მოწყობილი ექსპედიციები ავსებენ და ზოგჯერ სრულიად ახალ ინფორმაციას გვაწვდიან თურქეთში შემორჩენილი ქართული ნაგებობების, მათ შორის მრავალაფსიდიანი ტაძრების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1994-1995 წლებში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ, დავით ხოშტარას ხელმძღვანელობით, მოწყობილი რამდენიმე ექსპედიცია. რომლის შედეგები გამოქვეყნებულია სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, გიორგი და ნინო ბაგრატიონების მიერ შესრულებული ათობით ძეგლის ახალი ანაზომით. აღსანიშნავია, აგრეთვე, 1996 წლის ირინე გვიამაშვილისა და ირაკლი კოპლატაძის კვლევითი ექსპედიცია და მათ მიერ გამოქვეყნებული მშვენიერი ალბომი..

მრავალაფსიდიანი ტაძართა ტიპის მეცნიერული შესწავლის საკითხს, ქართველ მკვლევართა შორის, ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მიაქცია ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ფუძემდებელმა აკად. გიორგი ჩუბინაშვილმა. ბოჭორმის მცირე ზომის ექვსაფსიდიანი ეკლესია განხილულია მის მონოგრაფიული ხასიათის შრომაში „Архитектура Кахетии“, სადაც ტაძრის მხატვრულ-ისტორიულ და კონსტრუქციულ ანალიზს მეცნიერი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ის გააზრებულია ერთიანად როგორც გეგმით, ასევე პროპორციებითა და მთელი გაფორმებით როგორც

არქიტექტურულ-სტრუქტურული სისტემა და არა როგორც შემთხვევითი რამ. მრავალაფსიდიანი ტიპის ძეგლებს მიეძღვნა აგრეთვე გ. ჩუბინაშვილისა და ნ. სევეროვის ნაშრომი „კუმურდო და ნიკორწმინდა“. ამ ორი, კომპოზიციურად მსგავსი ძეგლის მხატვრულ-ისტორიული და კონსტრუქციული ანალიზი, გულდასმით იქნა ჩატარებული გ. ჩუბინაშვილის მიერ, ნ. სევეროვის არქიტექტურული ანაზომების საფუძველზე. ავტორები აღნიშნავენ, რომ კუმურდოს და ნიკორწმინდის ტაძრები წარმოადგენენ „ქართული ბაროკალური სტილის“ განვითარების ორი საფეხურის თვალსაჩინო მაგალითებს.

უნდა ითქვას, რომ კუმურდო და ნიკორწმინდა ყველაზე უკეთ შესწავლილი ძეგლებია მრავალაფსიდიან ტაძართა შორის. მათ შესახებ არაერთი საფუძვლიანი კვლევა არსებობს. ასე მაგალითად, ნიკორწმინდის ტაძრის დეკორაციული შემკულობა დაწვრილებით აქვს აღწერილი და მხატვრულ-ისტორიულად გაანალიზებული ნ. ალადაშვილს მონოგრაფიაში „ნიკორწმინდის რელიეფები“. აკად. შ. ამირანაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორია“-ში, სხვა საკითხებთან ერთად, ეხება ექვსაფსიდიან ტაძართა ტიპის ზოგიერთ ძეგლსაც, მათ შორის კუმურდოს და ნიკორწმინდას. ამ უკანასკნელის განხილვისას აკად. შ. ამირანაშვილი ძირითადად ყურადღებას ამახვილებს სამხრეთ მინაშენზე, როგორც ფასადის მხატვრულ გაფორმებასა და არქიტექტურულ მასათა შეფარდებაში მნიშვნელოვან ელემენტებზე. აკად. ვ. ბერიძე წიგნში - „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება“, კუმურდოზე საუბრის დროს აღნიშნავს, რომ ტაძრის გეგმაში თითქოს შეთავსებულია ქართული ხუროთმოძღვრების წარსული და მომავალი - მრავალაფსიდიანობა, რომელსაც არ გადმოუღწევია X-XI საუკუნეთა მიჯნისთვის და წაგრძელებული სწორკუთხა გეგმა, დამახასიათებელი მთელი მომდევნო ხანის საეკლესიო არქიტექტურისთვის. ვ. ბერიძეს ეკუთვნის ვრცელი ნაშრომი, „კაცხის ტაძარი“, სადაც ძეგლის დეტალურ განხილვასთან ერთად ავტორი აკეთებს მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპის ძირითადი ჯგუფის ძეგლთა ძველ ტეტრაკონქებთან შედარებით ანალიზს, რის საფუძველზეც ასკვნის, რომ მიუხედავად სხვა ექვსაფსიდიან ეკლესიებთან მსგავსებისა, კაცხი გაცილებით უფრო განვითარებული და დასრულებულია თავისი ხასიათით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ბერიძის ვრცელი გამოკვლევა ტაო-კლარჯეთის ძეგლებისა და ქართული არქიტექტურის ისტორიაში მათი გამორჩეული ადგილის შესახებ.

ტაო-კლარჯეთის ტაძრების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აგრეთვე პარმენ ზაქარაიას ნაშრომს „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრება“.

საინტერესოა ირინე გივიაშვილისა და ირაკლი კოპლატაძის ნაშრომი „ტაო-კლარჯეთი“, სადაცამ კუთხის მრავალფეროვან საეკლესიო არქიტექტურასთან ერთად განხილულია ერთადერთი მრავალაფსიდიანი ტაძარიგოგია ე. თაყაიშვილის საარქივო ფოტომასალისა და ადრეულ მკვლევართა მონაცემების საფუძველზე.წიგნის ავტორებს რამდენიმე საინტერესო მოსაზრება აქვთ გამოთქმული ძეგლის არქიტექტურულ ფორმებთან მიმართებაში.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურისა და ხუროთმოძღვრულ ანაზომთა საშუალებით,სასემინარო თემაში, წარმოვადგენთქართული ხელოვნების ისტორიაში მრავალაფსიდიანი ტაძრების სახელით ცნობილ ძეგლებს, რომელთა ქრონოლოგიური საზღვრებიც X საუკუნის დასასრულითა და XI საუკუნის ნახევრით შემოიფარგლება.

როგორც უკვე ითქვა, მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპის ძირითადი ჯგუფს წარმოადგენს - გოგიაუბა, კიაღმის-ალთი, ოლთისი, ბოჭორმა და კაცხი. პირველი სამი, ტაო-კლარეთის არქიტექტურულ სკოლას განეკუთვნება და თითქმის ზუსტად იმეორებს ერთიმეორის გეგმას მცირეოდენი ცვლილებებით.

სავარაუდოდ, ტეტრაკონქის თემის დეკორაციული გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი მრავალაფსიდიანი, ანუ ექვსაფსიდიანი ტიპის პირველ ნიმუშს გოგიაუბა უნდა წარმოადგენდეს (დღეს ნანგრევებსდა წარმოადგენს), რომლის გეგმა გუმბათის ცენტრიდან ყოველ მხარეს სრულიად თანაბარზომიერადაა განვითარებული. არც ერთი აფსიდი არ გამოირჩევა ერთმანეთისგან, არც ერთი ღერძი არ სჭარბობს სხვებს. საკურთხევლის ნაწილი არ არის გამოყოფილი.გარედანაც არაფრით ხდება რომელიმე მათგანის ხაზგასმა გარე მოცულობებშიაც.

გოგიაუბას გარე მასები ქმნიან ერთნაირი აღნაგობის ორ საფეხურს - ტაძრის განიერი ქვედა მასის მოხაზულობა მეორდება შედარებით მცირე ზომით გუმბათის ყელში. გეგმაში ნალისებური აფსიდების თაღები გუმბათქვეშა სივრცეში ორსაფეხურიანი და ოდნავ შეისრული ფორმით იყო გახნილი მათ შორის აფრა-ტრომპებისა და ტრომპების ორი რიგით. გუმბათის ყელი შიგნიდან ორსაფეხურიანი, ოდნავ შესამჩნევად შეისრული თაღნართაა შემკული და აფსიდის ექვსი მკლავის შესაბამისად ექვსწახნაგა იყო, თითო სარკმლითყოველ წახნაგში. გუმბათის ყელის თაღები, გუმბათის ყელის კედელზევე ამოყვანილ წვრილ სვეტებს ეყრდნობოდა.

ტაძრის თორმეტწახნაგოვანი ექსტერიერი გაფორმებული იყო მარაოსებრი კონქებით დაგვირგვინებული სამკუთხა ნიშებით, რომლებიც თითო წახნაგის გამოტოვებით იყო ჩაჭრილი კედლების სისქეში. ერთი მხრივ, ისინი აფსიდებსშორის

კედლის მასივს ამსუბუქებდნენ, ხოლო მეორე მხრივ, ფასადთა დეკორაციულ ეფექტსაც უზრუნველყოფდნენ. სამკუთხა ნიშების გარდა დეკორაციულობის შთაბეჭდილებას აძლიერებდა გუმბათის ყელიც, რომელიც გარედან თაღნართ იყო შემკული. თაღები მონაცვლეობით ეყრდნობოდნენ შეწყვილებულ პილასტრებსა და კრონშტეინებს. სარკმლები სწორედ ამ კრონშტეინების ქვეშ იყო გაჭრილი. სავარაუდოდ, ტაძრის შიდა სივრცე საკმაოდ კარგად უნდა ყოფილიყო განათებული. გუმბათის გარდა შუქის წყაროსკარებები და აფსიდის სარკმლები წარმოადგენდნენ. ეკლესიაში შესასვლელი ორი მხრიდან - დასავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის აფსიდებში იყო განთავსებული.

საინტერესო მოსაზრება გამოითქვა ტაძრის მკლავების გადახურვასთან დაკავშირებით. ფოტომასალის შესწავლის საფუძველზე გივიაშვილი-კოპლატაძე ექვეყემ აყენებენ არქიტექტორკლდიაშვილის მიერ შემოთავაზებულ ტაძრის რეკონსტრუქციას. მაშინ, როდესაც ნახაზზე მკლავები გადახურულია ბრტყელი ცალქანობა სახურავით, რომელიც მთელ პერიმეტრს სწორხაზოვნად მიუყვება, ფოტოზე თითქოს იკითხება ე.წ. ქოლგისებური საბურველისზიგზაგისებური მონახაზი დაყოველი აფსიდი საკუთარი ფრონტონის ორფერდა სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული.

არქიტექტურული ფორმების ორიგინალური წყობის გარდა გოგიუბა დიდ ინტერესს იწვევს რელიეფებითაც, რომლებიც ე. თაყაიშვილის აღწერამ შემოგვინახა. მკვლევარის ცნობით, აფრა-ტრომპებში ჩასმული იყო ფიგურული გამოსახულებები - აღმოსავლეთით ჯვარი, დასავლეთით ვარსკვლავი, ჩრდილოეთით კი ნახევარმთვარე. სამხრეთის რელიეფი ე. თაყაიშვილის დროსაც დაკარგული ყოფილა. ი.გივიაშვილმა და ი. კოპლატაძემ გამოთქვეს ვარაუდი, რომ აქ მხოლოდ მზის გამოსახულება შეიძლებოდა ყოფილიყო და რომ ამგვარი კომპოზიცია უნიკალურია და მას ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში ანალოგი არ მოეპოვება.

მრავალაფსიდიანი ტიპის განვითარების შემდგომ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ კიაღმის-ალთის და ოლთისის ეკლესიები, რომელთაც გოგიუბას მსგავსი გეგმარება აქვთ. აქაც ტაძრის ცენტრალური სივრცის გარშემო ექვსი აფსიდია რადიალურად განლაგებული, რომელიც გარეგან პოლიგონშია მოქცეული. მხოლოდ მათში, გოგიუბასგან განსხვავებით, ჩნდება მთავარი ხაზი - ბემით გამოყოფილი საკურთხევლის ნაწილი. აღმოსავლეთის აფსიდი უფრო ღრმა ხდება, რამაც გარედან, ბუნებრივია, ამ მხარეს სამწახნაგოვანი შვერილის გაჩენაგამოიწვია. მაგრამ გეგმის გართულება მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ხუროთმოძღვარმა კიაღმის-ალთის აფსიდის ბემის ორსავე მხარეს, კედლის მასივში მცირე კამერები მოათავსა. ამ

ცვლილებამ კიდევ ერთი სიახლე გამოიწვია - საკურთხეველსა და მის მეზობელ აფსიდებს შორის გაქრა გარეთა კედლის ნიშები.

ოლთისის ეკლესია, უდავოდ კიადმის-ალთის უშუალო გავლენით უნდა იყოს შექმნილი, მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი დეტალი - მართალია, აღმოსავლეთის ბემის მარჯვნივ და მარცხნივ დამატებითი კამერები აღარაა, მაგრამ ოლთისში გარეთა ნიშებით ფასადის გაფორმება ხუროთმოძღვარმა საჭიროდ უკვე აღარ ჩათვალა.

ორივე ძეგლში გუმბათის ყელს გარედანაც და შიგნიდანაც წრიული მოხაზულობა აქვთ, რაც განასხვავებს მათ გოგიუბასგან. შესასვლელები კიადმის-ალთის და ოლთისის ეკლესიებში გოგიუბას ანალოგიურადაა განლაგებული,

როგორც აღვნიშნეთ, ამ ტაძართა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა არ არის დადგენილი. ჩვენი ვარაუდით, გოგიუბა ძირითადი ჯგუფის ყველაზე უადრესი ნიმუში უნდა იყოს, რის საფუძველსაც გვადლევს ყოველ მხარეს თანაბრად განვითარებული გეგმა, სადაც საკურთხევლის ნაწილი არაფრითაა გამორჩეული სხვა სეგმენტებისგან. აგრეთვე, ნალისებური მოხაზულობის აფსიდები და თალები სიძველის უტყუარ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ. კედლის ნიშები, გუმბათის ყელის შიდა კედლების სვეტებით დამუშავება და სხვაც მის თითქოსდა უფრო ადრეულობაზე უნდა მიუთითებდეს. რაც შეეხება დანარჩენ ორ ძეგლს, ოლთისის ეკლესია კიადმის-ალთისაზე გვიანი უნდა იყოს. სავარაუდოდ, ამაზე მიუთითებს მომდევნო ხანის ძეგლები. ოლთისის მსგავსად, ბოჭორმასა და კაცხში უკვე აღარ არის აღმოსავლეთი აფსიდის დამატებითი სათავსები. შემორჩენილი ფოტო მასალისა და ექსპედიციების ჩანაწერების მიხედვით, გეგმების ურთიერთშედარებით და მათი არქიტექტურულ-მხატვრული ფორმების სხვა ძეგლებთან პარალელების გავლების შედეგად შესაძლებლად გვეჩვენებამრავალდსიდიანი ტაძრების ძირითადი ჯგუფის, შესაძლოა, უფრო ზუსტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დადგენა.

გოგიუბას, კიადმის-ალთისა და ოლთისის ტაძართა ზუსტი სამშენებლო თარიღის განსაზღვრა შეუძლებელია წარწერების არქონის გამო. მათი აღმოჩენის დროისთვის ეს ძეგლები უკვე საკმაოდ იყვნენ დაზიანებული. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც ნახა და აღწერა ისინი, მათ X საუკუნით ათარიღებს. ყველა ნიშნის მიხედვით, მისი ეს დასკვნა მომდევნო ხანის მკვლევარებს სავსებით სამართლიანად მიაჩნიათ. მათში თავს იჩენს ისეთი ნიშნები, რომლებიც ნიშანდობლივია X საუკუნის ბევრი ძეგლისთვის და რომლებიც ქრება XI საუკუნეში. ესენია ძუნწი თავშეკავებული

მორთულობა და ერთგვარი ტექტონიკურობის შენარჩუნება დეკორაციულ ელემენტებშიც კი.

ექვსაფსიდიანი გეგმის განვითარების შემდგომ საფეხურს წარმოადგენს ბოჭორმის ეკლესია. თავისი საერთო აგებულებით იგი უახლოვდება ორ უკანასკნელ ძეგლს - ოლთისს და კიაღმის-ალთს. აღმოსავლეთით აფსიდი აქაც ქმნის გარედან სამწახნაგოვან შვერილს. გოგიუბას მსგავსად, გარედან მასაც ექვსი ნიშა აქვს, რაც გამოწვეულია საკურთხევლის გვერდებზე დამატებითი კამერების გაქრობით. საყურადღებოა, რომ ყველა აფსიდს გააჩნია ბემა, რომელთა შორისაც სხვებზე მეტი სიღრმით აღმოსავლეთის ბემა გამოირჩევა. ეს კი, თავის მხრივ, გარე მოცულობებში იწვევს საკურთხევლის ნაწილის გამოწვევას ნაგებობის საერთო მოხაზულობიდან და მისთვის სამწახნაგოვანი ფორმის მიცემას.

ტაძრის შესასვლელები სიმეტრიულად, სამხრეთ-დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთითაა გაჭრილი, რაც სივრცის მთლიანად, ერთი თვალის მოვლებით აღქმის საშუალებას იძლევა. აქ მთავარი აქცენტი გადატანილია გარე ფორმების ძლიერ კონტრასტებზე: აფსიდების სამკუთხა ნიშებით გაფორმება ქმნის ნიშიანი და გლუვზედაპირიანი წახნაგების გარკვეულ რიტმულ მონაცვლეობას ფასადებზე. მასების ეს მოძრაობა ხაზგასმულია აგრეთვე ქოლგისებური გადახურვითა და ცილინდრული ფორმის გუმბათისყელის გაფორმებით ორმაგ სვეტებზე დაყრდნობილი თორმეტი თალით.

ბოჭორმის ეკლესიაც ქრონოლოგიურად იმავე პერიოდისაა რომელსაც გოგიუბა, კიაღმის-ალთი და ოლთისი მიეკუთვნება. ამის დამადასტურებელია ისტორიული მასალა. წერილობითი ცნობები ბოჭორმის, როგორც ერთ-ერთი უძლიერესი ციხე-სიმაგრის შესახებ გვაქვს X საუკუნის პირველი მეოთხედიდან, როდესაც არაბებმა აიღეს უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები, რაც მოხდა 1068 წლამდე, ანუ ბაგრატ IV-ის ომამდე კახეთის მეფე აღსართანთან.

კაცხის ტაძრის შედარებისას ზემოთ უკვე განხილულ ძეგლებთან შეინიშნება ისიც, რომ ძირითად თემასთან ერთად, აქ ზოგიერთი დეტალი უკვე მზა სახითაა გადმოღებული სხვა ძეგლებიდან, თუმცა კაცხის არქიტექტურულ კომპოზიციაში საკმაოდ თვალნათლივ ჩანს მნიშვნელოვანი სიახლეები.

კაცხი, თავისი გეგმით, ყველაზე ახლოს დგას კიაღმის-ალთის ეკლესიასთან. ხუროთმოძღვარია აქაც საკურთხევლის წინ ბემის განთავსებით ხაზს უსვამს ნაგებობის ძირითად ღერძს - დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ბემის ჩართვით საკურთხეველს საერთო მოხაზულობის ფარგლებს გარეთ წევს. შესასვლელების

მოწყობაც ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით (გოგიუბა, კიაღმის-ალთი, ოლთისი), აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთით (ბოჭორმა), უკვე ცნობილი იყო X საუკუნის ექვსაფსიდიან ტაძრებში. არსებითად, არაფერიშეცვლილა აგრეთვე აფსიდების ფორმებსა და მათს ურთიერთმიმართებაშიც, მაგრამ მთლიანობაში კაცხის ტაძარი ბევრად უფრო ღრმად გააზრებული და უფრო რთულია ვიდრე ამ ჯგუფის სხვა ძეგლები. მთავარი ტაძარში მისი იმპოზანტური, საზეიმო ხასიათია, რაც მისიდან იშნულებით უნდა იყოს განპირობებული. ეს იყო არა მყუდრო კაპელა, არამედ საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი და გავლენიანი ფეოდალური გვარის მთავარი ეკლესია. პარადული იერის შექმნისათვის სწრაფვა ჩანს შენობის მთელს მოცულობაში, რასაც თვალნათლივ ამჟღავნებს დეკორი და ნაგებობის გეგმაში შეტანილი ცვლილებებიც.

კაცხის ტაძარს სამი მხრიდან აკრავს გარსშემოსავლელი, შესაბამისად ტაძრის ზოგადი მასა შედგება სამი კონცენტრირებული ელემენტისაგან - პირველს შეადგენს თვითონ გარსშემოსავლელი, მეორეს უფრო მცირე დიამეტრის ტაძრის კორპუსი და მესამეს გუმბათის ყელი - განსხვავებით სხვა ძეგლებისგან, სადაც გვაქვსორი, ერთმანეთზე აღმართული წახნაგოვანი ცილინდრი, რომელთაგან უფრო განიერი ქვედა ნაწილი შეიცავს თვით აფსიდებს, ზემოთ კი გუმბათის ყელია (გოგიუბა, კიაღმის-ალთი, ოლთისი და ბოჭორმა). აღსანიშნავია, რომ გარსშემოსავლელის აგება თავიდანვე გათვალისწინებული იყო ხუროთმოძღვრის მიერ, რასაც ადასტურებს ტაძრის ქვედა მოცულობის დიდი სიმაღლე და სარკმელების მოთავსება გარსშემოსავლელის საბურავზე უფრო მაღლა. ამასთანავე გარსშემოსავლელის არსებობამ გამოიწვია გარე სამკუთხა ნიშების გაქრობა, რასაც კვლავ მოჰყვა აფსიდებსშორისი კამერების გაჩენა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ცვლილებებისა, კაცხის ოსტატი აღმოსავლეთ აფსიდს, როგორც ეკლესიის იდეურ ცენტრს, ბემის ჩასმასთან ერთად უკეთებს სამ სარკმელს ნაცვლად ერთისა, როგორც სხვა ძეგლებშია. აქედან გამომდინარე, შვერილი აფსიდებიც, სამწახნაგოვანის ნაცვლად, იღებენ ხუთწახნაგოვან ფორმას. დაბოლოს, შენობაში დიდადაა გაზრდილი განათების ინტენსივობა - საკურთხევლის სარკმელთა სიმრავლესთან ერთად გაზრდილია ღიობების რაოდენობა გუმბათის ყელზეც. შიგა სივრცის ასეთი უხვი განათება თავის მხრივ, უფრო საზეიმო ხასიათს უქმნის კაცხის ხუროთმოძღვარი ამ ცვლილებებითსრულად აღწევს დასახულ მიზანს, ქმნის უფრო მდიდრულსა და მონუმენტურ ნაგებობას ვიდრე ამ ტიპის სხვა ძეგლებია.

გარშემოსავლელი, როგორც ითქვა, ტაძარს სამი მხრიდან ეკვრის. ეს მოწიფული შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ტიპიური დამახასიათებელი ნიშანია X-XI საუკუნეებიდან მოყოლებული. ისინი აუცილებელ ატრიბუტად იქცევიან ყოველი მოზრდილი ტაძრისათვის. კაცხის ამ დიდსა და რთულ გალერეაში ოსტატურადაა გაერთიანებული ყველა ელემენტი. ორი ეკვდერი, შესასვლელისწინა კარიბჭეები და მათი შემაკავშირებელი ღია თაღოვანი სტოა. ეს უწყვეტად მიმდინარე მასა ორგანულ საფეხურად შედის ტაძრის საერთო კომპოზიციაში და მისი გაჩენა სრულიად ბუნებრივად გამოიყურება შენობის ისეთი კონფიგურაციის დროს, როცა იგი მოკლებულია მკვეთრად გამოყოფილ ფასადებს.

კაცხის შიდა სივრცე რამდენადმე განსხვავებულ, მოულოდნელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს არის უჩვეულოდ ფართო, ჰაერითა და სინათლით სავსე სივრცე. გადამწყვეტი როლი აქ გუმბათს ენიჭება, რომლის მნიშვნელობაც ხაზგასმულია არა მარტო იმით, რომ გუმბათი განიერია ქვედა სივრცესთან შედარებით, არამედ იმითაც, რომ გუმბათქვეშა ექვსკუთხედის გარშემო განლაგებულ აფსიდებს არ გააჩნიათ საკუთარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა. მთელი ინტერიერი აღიქმება როგორც მთლიანი, დაუნაწევრებელი სივრცე, რომელსაც ვარსკვლავისებური მოხაზულობა აქვს.

კაცხი, თავისი ხასიათით, საუკუნეთა მიჯნაზე მდგარი ძეგლია. X საუკუნის მემკვიდრეობას აქ ერთვის მომავალ განვითარებასთან დაკავშირებული ელემენტები. გეგმაში, მრავალაფსიდიან ტაძართა ძველ სქემასთან ერთად, ვხედავთ მის შემდგომ გართულებასა და განვითარებას. იცვლება ნაგებობის პროპორციებიც, მაგრამ მთავარი მაინც შინაგანი სივრცის გაზრდისა და აზიდულობის შთაბეჭდილების შექმნაა.

კაცხის ტაძარი მნახველზე მონუმენტურ შთაბეჭდილებას ახდენს. ამშეგრძნებას აძლიერებს გარშემოსავლელი, რომელმაც შენობას ფართოდ გაშლილი საფუძველი შეუქმნა, მაგრამ უფრო არსებითი აქ სამი საფეხურის ურთიერთდამოკიდებულებაში ახალი შეფარდებებია. მაგალითად, კიაღმის-ალთის ეკლესიაში ვერტიკალური ხაზი შენელებულია გუმბათის ცილინდრული ყელის ძალიან მცირე სიმაღლით, ხოლო გოგიუბაში სიმაღლისკენ სწრაფვას საგრძნობლად ანელებს გუმბათის ყელის ფორმა. მაშინ, როდესაც გოგიუბას ტაძრის ქვედა კორპუსი თორმეტწახნაგაა, გუმბათის ყელს მხოლოდ ექვსი წახნაგი აქვს და ზემოთა დანაყოფები უფრო მსხვილია ვიდრე ქვემოთა. ამათგან განსხვავებით, კაცხში ყოველი საფეხურის თითო წახნაგს შემდეგი საფეხურის თითო წახნაგი შეესაბამება და ეს წახნაგები, რომელიც სამი განსხვავებული დიამეტრის წრეხაზზეა მოთავსებული,

ქვევიდან ზევით მცირდება ყოველ საფეხურში, ეს კი ძალიან მკაფიო რიტმულ გრადაციას ქმნის.

განსაკუთრებით თვალსაჩინო და დამახასიათებელია კაცხის ხერხულა კარნიზები და ქოლგისებური სახურავი, რაც ერთბაშად განასხვავებს კაცხს სხვა ანალოგიური ძეგლებისგან. მართალია, ესმოტივი უკვე გამოყენებულია ბოჭორმაში (სავარაუდოდ იყო გოგიუბაშიც), მაგრამ მისგან განსხვავებით, კაცხის ტაძარში ის ძლიერააგამახვილებული, რაც ზრდის ტაძრის მხატვრული სახის დეკორაციულობის შთაბეჭდილებას. შენობის დიდი მასა დინამიკურია. ტეხილი კარნიზების რიტმი აქ სამგზისაა გამეორებული სხვადასხვა სიმაღლეზე, განსხვავებული მასშტაბით. კაცხში იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ტაძრის სამივე კონცენტრული საფეხური ტალღისებურად მოძრაობს საერთო ვერტიკალური ღერძის გარშემო.

კაცხის სივრცობრივი კომპოზიცია მეტად თავისებურადაა გადაწყვეტილი. თუ მრავალაფსიდიან ტაძართა უკვე განხილული ძეგლების ცენტრში მდგომ ადამიანს შეუძლია დაინახოს დაუბრკოლებლად შენობის მთელი სივრცე და მის მზერას არაფერი ეფარება, კაცხში ის კედლის კამერები, რომელთაც თითქოსდა არავითარი სივრცობრივი დანიშნულება არ გააჩნიათ და, რომელნიც მართლაც ცუდად ერწყმიან მთავარ სივრცეს, სინამდვილეში ცვლიან სივრცის აღქმის საერთო შთაბეჭდილებას. ტაძრის ამ ოთახებში შესასვლელები ისეა გაჭრილი, რომ მთავარი, დასავლეთის მხრიდან ტაძარში შესული ადამიანი ერთბაშად აღიქვამს ნაგებობის ხუთივე მონაკვეთს. არქიტექტორის ჩანაფიქრით საერთო ეფექტი იქმნება შუქ-ჩრდილთა კონტრასტებით. ნახევრად ბნელი კამერების შესასვლელები კონტრასტულად გამოიყოფა ძლიერად განათებული კედლის ფონზე. ამ ჩაბნელებულ თაღოვან გასასვლელებს ოდნავ გამოჩენილ დამატებით სივრცეებში მივყავართ. სხვადასხვა სიმაღლისა და სიგანის თაღების მეზობლობა აფსიდების შეზნევილ მოძრავ ზედაპირზე არაჩვეულებრივად მოძრავ რიტმს ქმნის.

კაცხში შიდა გაფორმების დეტალებიდან საყურადღებოა ის, რომ აქ გამოყენებულ ელემენტთა უმრავლესობა X საუკუნიდან მოდის, მაგრამ მათი დიდი ნაწილი მაინც ახლებურადაა გადამუშავებული. ტექტონიკურობა თანდათან ადგილს უთმობს დეკორაციულობას; გუმბათის ყელში, მისი სიმრგვალისა და სარკმელთა სიმრავლესთან ერთად, ყურადღებას იპყრობს თაღოვანი სარკმლების ზემოთ, ყოველი სარკმლის თავზე გამოყვანილი თითო თაღი და ამ თაღებს შუა ჩასმული მცირე ტრომპი. გუმბათის სფერო სწორედ ამ თაღებს ებჯინება. ეს მოტივი, გუმბათის ყელის მორთვა თაღედით, გვხვდება გოგიუბაშიც. მაგრამ კაცხისგან განსხვავებით მკაფიოდ გამოვლენილ თაღებს აქ ორსაფეხურიანი პროფილი და თან ერთგვარი

კონსტრუქციული დატვირთვაც აქვთ. ასევე გარკვეული კონსტრუქციული მნიშვნელობა აქვთ გუმბათის ყელის ქვეშ მოთავსებულ მცირე ტრომპებსაც, მაშინ როდესაც კაცხის ტრომპები იმდენად მცირე და ბრტყელია, რომ ძლივსღა შეინიშნება.

ის, რომ კაცხის ტაძარი X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა შექმნილი, დასტურდება როგორც ძეგლის ანალიზით, ასევე წარწერებითა და ისტორიული მასალებითაც. კაცხი წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში ცნობილ ბალუშთა საგვარეულო ტაძარს, მათ სამკვალეს. ტაძრის ძირითადი ნაწილის მშენებლობა დაწყებულია 989 წელს, მას შემდეგ, რაც ბაგრატ III-ის მიერ კლდეკარიდან განდევნილი ერისთავთ-ერისთავი რატი „დაჯდა მამულსა თუისსა არგვეთს“, ხოლო დამთავრდა ბაგრატის მეფობის ბოლოს, 1010-1014 წლებში. ტაძრის გარშემოსავლელი, უთუოდ, თავიდანვე იყო გათვალისწინებული იყო კაცხის ხუროთმოძღვრის მიერ როგორც ძირითადი ნაგებობის განუყოფელი ნაწილი. ერთ-ერთი წარწერის თანახმად, მის მშენებლად მიჩნეულია **ცხოვრება**, იოანე ერისთავთ-ერისთავის ასული. დეკორის სტილის მიხედვით მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გარშემოსავლელის აგება XI საუკუნის შუა წლებს არ უნდა სცილდებოდეს.

ექვსაფსიდიან ტაძართა ტიპის შემდგომი განვითარების ეტაპს წარმოგვიდგენს კუმურდო, რომელიც მართალია X საუკუნეს განეკუთვნება, მაგრამ მასში ნათლად ჩანს ამ თემისგან გადახვევის ცდები. შეიძლება ითქვას, რომ გეგმის თვალსაზრისით კუმურდო ტიპიური გარდამავალი ძეგლია.

კუმურდოს ტაძარს გეგმაში ჯვრის მოხაზულობა აქვს. შიგნით, გუმბათქვეშა ექვსწახნაგის გარშემო განლაგებულია ცენტრალური სივრცისკენ გახსნილი ხუთი ღრმა აფსიდი. აქედან ყველაზე უფრო ღრმა აღმოსავლეთით, ხოლო დანარჩენი ოთხი კი ერთმანეთის პარალელურად - სამხრეთითა და ჩრდილოეთითაა. დასავლეთის დაგრძელებული მკლავი სწორკუთხა ფორმისაა და ბურჯების საშუალებით სამ ნაწილადიყოფა. გუმბათი ეყრდნობა აფსიდების შვერილებთანშერწყმულ წახნაგოვან ბოძებს. საინტერესოა, რომ ექვსაფსიდიანი ეკლესიებისგან განსხვავებით გარედან კუმურდოს გეგმა სწორკუთხა მკლავებიანი წაგრძელებული ჯვრის ფორმაშია ჩასმული. ფასადებზე, ტაძრის შიდა მოხაზულობის შესაბამისად, აფსიდებს შორის, გარედან სამკუთხა ნიშებია ჩასმული. დახვეწილი პროპორციებისა და ოსტატობის მაღალი დონე, რომელიც ერთი შეხედვისთანავე თვალში ხვდება მნახველს, კიდევ უფრო ნათელი ხდება ტაძრის შიგა სივრცისა და ცალკეული ელემენტების მოხილვის შედეგად.

მართალია, კომპოზიციური ჩანაფიქრით, კუმურდოს შიგა სივრცე ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ ზოგიერთ დეტალში მაინც თავს იჩენს გარკვეული ინდივიდუალობა. ინტერიერში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს თითოეული აფსიდის დამოუკიდებელი ხასიათი, რაც ხაზგასმულია აფსიდთა შვერილებზე მიდგმულირვაწახნაგოვანი ბოძებით, რომლებიც მკაფიოდ საზღვრავენ აფსიდებს ცენტრალურ გუმბათქვეშა სივრცისგან და აგრეთვე გვერდითი აფსიდების პარალელური და არა ვარსკვლავისებური განლაგებით.

როგორც აღვნიშნეთ, ტაძრის შიგა მოხაზულობა არ არის გამოვლენილი გარე მასებში. ნახევარწრიული აფსიდები აქ სწორკუთხა, ოდნავ წაგრძელებული ჯვრის ფორმაშია ჩაწერილი. არქიტექტორის მიერ მიგნებული გარე მასების ასეთი განზოგადება - გამარტივების გზით წარმოადგენდა იმავე ამოცანების გადაჭრას, რაც იდგა კაცხის, ბოჭორმის, ოლთისის, კიადმის-ალთის და გოგიუბას მშენებელთა წინაშე.

გარე მასებთან შიდა სივრცის ასეთმა ურთიერთმიმართებამ კუმურდოს ტაძარში თავის მხრივ გამოიწვია ნაწილობრივ გეგმისა და საერთო კომპოზიციური გადაწყვეტის შეცვლა. აღოსავლეთი აფსიდი ბემით ისევეა დაგრძელებული როგორც დასავლეთის სწორი მკლავი. არქიტექტორმა საკუთხეველის ორივე მხარეს მოათავსა დამატებითი ოთახები (პასტოფორიუმები) და დასავლეთის მკლავს მიუშენა გარშემოსავლელი, პატრონიკენით ინტერიერში. ამ მკლავის ორსართულიანობა გაწონასწორებულია აღმოსავლეთის აფსიდის გვერდითი პასტოფორიუმების (სადიაკვნე, სამკვეთლო) ასეთივე ორსართულიანობით. ხოლო გვერდითი-სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდები კი მოათავსა წყვილ-წყვილად, ერთმანეთის საპირისპიროდ, ნაცვლად გუმბათქვეშა წახნაგებთან კუთხით დაყენებისა, რაც დამახასიათებელია მრავალაფსიდიანთა ძირითადი ჯგუფის ძეგლებისათვის.

კუმურდოს ტაძრის ფასადების ცალკეულ ნაწილების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ნაგებობის ყველა დეტალი ყოველმხრივგააზრებულია, ხოლო ნებისმიერი ელემენტის ადგილი საერთო დეკორში მკაცრადაა განსაზღვრული. აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებული ნიშები საფუძველს უქმნიან მთელი კედლის დანაწევრებას. ისინი მკაფიოდ გამოყოფენ ფასადის ცენტრალურ ნაწილს, რის გამოც აქ მოთავსებული სარკმლის რელიეფი განსაკუთრებით ძლიერად აღიქმება. მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის ფასადის ცენტრალურ ღერძზე საფეხურებად განლაგებული ელემენტები - უპირველესად სარკმლის ორი თალი და მის ზემოთ მრგვალი სარკმელი, რომლის თავზეც ჰორიზონტალურ არეში მოთავსებულია რელიეფური

წარწერა. კომპოზიციას აგვირგვინებს მუქი წითელი ფერის ჯვარი და ამ აღმავალი მოძრაობის განმასრულებელი ასეთივე ფერის კვადრატული ჩანართი.

კუმურდოს სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადები ერთნაირადაა გადაწყვეტილი. ორივეგან ცენტრალურ ნაწილს შუაში ისეთივე ნიშა აქვს კუთხით ჩაჭრილი, როგორც აღმოსავლეთ ფასადზეა. ნიშების გვერდით კი თითო-თითო სარკმელია მოთავსებული, აფსიდების შესაბამისად. ძირითად მხატვრულ ეფექტს აქ კედლის მასიური გლუვი ზედაპირი განსაზღვრავს, რომელიც მხოლოდ ზოგ ადგილასაა დარღვეული თაღოვანი სარკმლით. საინტერესოა ერთი დეკორაციული ელემენტი, რომელიც ხაზს უსვამს გარე აბრისში ტაძრის შიდა ექვსაფსიდიან ფორმას - ესაა მკლავებს შორის, ზემოთ, მოთავსებული მათი შემაკავშირებელი თაღები, რომელთაც საკუთარი ფრონტონი გააჩნიათ კარნიზითა და საბურავით.

თავისი გარეგნული იერით კუმურდო უკვე შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ახალ საფეხურს განეკუთვნება. ამას მოწმობს ტაძრის მაღალი, აზიდული, დახვეწილი პროპორციები, დეკორაციული ელემენტების ღრმად გააზრებული განაწილება და აგრეთვე, კედლის ფართო ზედაპირთა წყობის უნაკლო სრულყოფილება. ოსტატობის მაღალი დონე ეტყობა ქვის დამუშავებას, კედლის წყობას, ყოველი თაღის მოხაზულობასა და ჩუქურთმათა კვეთას.

კუმურდოს ტაძარი, რომელიც ცხოველხატული სტილის განვითარების ადრეული ეტაპის უმნიშვნელოვანეს ძეგლად ითვლება, ამავე დროს, ეპოქის მოწინავე ნაგებობაცაა, ვინაიდან მასში შეტანილია შენობის მასებს შორის ურთიერთკავშირის ისეთი სიახლეები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქართულ გუმბათოვან არქიტექტურას მთელი მისი შემდგომი განვითარების მანძილზე.

კუმურდო მიეკუთვნება იმ იშვიათ ქართულ ძეგლთა რიცხვს, რომელთაც აქვთ სამშენებლო წარწერა, სადაც მოხსენებულნი არიან ქტიტორი და ხუროთმოძღვარი, მითითებულია აგების თარიღი. არის სხვა წარწერებიც, რომლებიც ძეგლის შემდგომ ისტორიულ თავგადასავალს გადმოგვცემს. მთავარი წარწერა გვამცნობს, რომ ტაძარი აგებულია ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ მეფე ლეონის დროს, 964 წელს. XII საუკუნეში, მეფე ბაგრატ IV-ის ხანაში ნაგებბას სამხრეთიდან მიაშენეს ღია ეკვდერი, რომლის თაღებიც მოგვიანებით არის ამოვსებული.

სტრუქტურულად კუმურდოსთან ყველაზე ახლოსაა ნიკორწმინდა, რომელიც ასევე ექვსაფსიდიან ტაძართა ტიპს განეკუთვნება, მაგრამ კუმურდოსგან განსხვავებით ნიკორწმინდა კიდევ უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში..

უპირველეს ყოვლისა, მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ნიკორწმინდის ფასადების ორნამენტული შემკულობის სიუხვე და მდიდრული ხასიათი, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება ზევით და გუმბათის ყელზე აღწევს თავის უმაღლეს მწვერვალს. ტაძრის კედლები მთლიანადაა დაფარული ჩუქურთმებითა და რელიეფებით. შეცვლილია გუმბათის პროპორციები; ნაგებობის საერთო მასებთან შედარებით გუმბათის ყელი კიდევ უფრო გაფართოებული და გაზრდილია. დანარჩენი მასების საერთო განლაგებაში კი თითქმის იგივე სურათს ვხედავთ რაც კუმურდოშია.

ნიკორწმინდის გეგმის საფუძვლად, კუმურდოსგან განსხვავებით, აღებულია მრავალაფსიდიანი ტაძართა კომპოზიცია. სადაც აფსიდები ლაგდება ცენტრალურ გუმბათქვეშა სივრცის გარშემო. ერთი ნახევარწრე თითქოს გადაიღვრება მეორეში, მაგრამ ისევე როგორც კუმურდოში, დასავლეთის მკლავი აქაც სწორკუთხა ფორმას იღებს, რომელიც გართულებულია აღმოსავლეთ აფსიდის მსგავსად მცირე ზომის ორსართულიანი ოთახებით. აღსანიშნავია, რომ ამ ტაძრის მსგავსებას სხვა მრავალაფსიდიანებთან ხაზს უსვამს აგრეთვე შიდა სივრცის ერთიანობა. აქ არც ერთი აფსიდი არ გამოიყოფა დამოუკიდებელ ნაწილად, როგორც ეს კუმურდოში გვექონდა.

ნიკორწმინდაში ექვსაფსიდიანი სივრცის გაშლამ გარე სწორკუთხოვან აბრისში გამოიწვია სარკმელთა და კარის ჭრილთა თავისებური განლაგება. აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე სარკმელები და შესასვლელები ბუნებრივად გამოიყენება როგორც შიგნით, ასევე ტაძრის გარეთაც. ხოლო რაც შეეხება ჭრილებს სამხრეთითა და ჩრდილოეთით, მათი მდებარეობა იძულებით ხასიათს ატარებს. ისინი მოთავსებულია არა აფსიდების ღერძების შესატყვისად, არამედ გვერდულად და რამდენადმე ასიმეტრიულადაც (ასეა ბოჭორმასა და კაცხში).

ნიკორწმინდაში მთავარი აქცენტი, კუმურდოსგან განსხვავებით, გადატანილია დეკორატიულ მორულობაზე. აქ უხვადაა გამოყენებული ფიგურული და მცენარეული ორნამენტები. ყურადღებას იპყრობს ფასადების სიუჟეტური კომპოზიციები. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა უხვად მოჩუქურთმებული გუმბათის ყელისა და ფასადებისა, მდიდრული რელიეფური შემკულობით გამოირჩევა აგრეთვე მინაშენებიც, რომელთაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭებათ არა მარტო ფასადების მხატვრულ გაფორმებაში, არამედ არქიტექტურული მასების განაწილებასა და ურთიერთშეფარდებაშიც.

ეკლესიის თარიღის დაზუსტების საშუალებას იძლევა დასავლეთი შესასვლელის წარწერა, რომელშიაც მოხსენებულია სრულიად საქართველოს მეფე

ბაგრატ III. ამ წარწერის მიხედვით ნიკორწმინდის აგების თარიღი განსაზღვრულია 1010-1014 წლებით.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილული ძეგლები მჭიდრო, კომპაქტურ ჯგუფს ქმნიან, როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თავისი არქიტექტურულ-სტრუქტურული თვალსაზრისით. ბუნებრივია, რომ როგორც ყველა ორგანული და არა ხელოვნურად გადმოწერილი ხუროთმოძღვრული თემა, მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპიც მოულოდნელად არ გაჩენილა. იგი ქართული ხუროთმოძღვრების ზოგად კონტექსტში ბუნებრივი განვითარების შედეგს წარმოადგენს.

ექვსაფსიდიან ტაძართა გაჩენა ნათლად გვიჩვენებს გარდამავალი ეპოქის დასასრულს ხუროთმოძღვრებაში დამკვიდრებული ტრადიციების უკმარისობას, არსებული თემების განვითარების აუცილებლობის მოთხოვნას. დეკორატიულობისკენ სწრაფვამ გამოიწვია ძველი, მკაცრი, დიდებული არქიტექტურული კომპოზიციების შეცვლა მსუბუქი, მოძრავი ფორმებით, რომლის ერთერთი გამოხატულებაც იყო მრავალაფსიდიანი ძეგლები.

ამ, მეტად თავისებური ხუროთმოძღვრული თემის ძველ ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურულ ფორმებთან შედარების საფუძველზე ქართველი მკვლევარები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ მრავალაფსიდიანი კომპოზიციები უნდა შექმნილიყო როგორც ამოცანის დეკორატიული გადაწყვეტა ტეტრაკონქის თემის ახალ ვარიანტთა ძიების პროცესში. მართლაც, მრავალაფსიდიანი გეგმის გენეტიკურ ურთიერთობათა ძიებას უშუალოდ ძველ ტეტრაკონქებთან მივყავართ.

შეიძლება ითქვას, რომ მრავალაფსიდიან ტაძართა თემა წარმოიქმნა ძველი ტეტრაკონქის ტიპის ერთგვარი დეკორატიული გადამუშავებისა თუ განვითარების შედეგად. ამ ორი ხუროთმოძღვრული თემის შედარებისას ნათლად იჩენს თავს საერთო ნიშნები. უკვე ძველ ტეტრაკონქებში გვხვდება იმ მოტივების ჩანასახი, რომელთაც შემდგომ არსებითი როლი შეასრულეს ექვსაფსიდიან ტაძართა ძირითადი ჯგუფის ჩამოყალიბებაში. ასე, მაგალითად, კახეთის ნინოწმინდაში ჩნდება მრავალაფსიდიანთავის დამახასიათებელი ძირითადი სტრუქტურა - აქ გუმბათი კვადრატს კი არ ეყრდნობა, არამედ ამისთვის გამოიყენება მთავარი აფსიდებისა და რადიალურად განლაგებული კუთხის ოთახების შვერილები. ასევე ნინოწმინდის ტაძარში და შემდგომ ჯვარის ტიპის ძეგლებში ყალიბდება ოთხ მთავარ აფსიდს შორის ჩართული დამატებითი ელემენტები. მაგრამ ამ შეღრმავებებს იმდენად დაქვემდებარებული არქიტექტურული მნიშვნელობა აქვთ, რომ აქ

მრავალაფსიდიანობაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ შეუძლებელია. შემდეგ, როდესაც ჩნდება ახალი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული ამოცანები, ფუნქციური ლოგიკა უკვე აღარ ასრულებს გადამწყვეტ როლს და ამ დროს დამატებითი სადგომების წმინდა დამხმარე, პრაქტიკული დანიშნულების გაგება ადვილად შეიძლებოდა დაკარგულიყო. ასევე დაირღვა მთავარი და მათდამი დაქვემდებარებული ნაწილების სიდიდეთა ლოგიკური ურთიერთდამოკიდებულებაც. ამგვარი რღვევის შედეგად უკვე შეიქმნა შესაძლებლობა დამხმარე ნაწილების დამოუკიდებლად განვითარებისა, რაც შემდგომ X-XI საუკუნეებში განვითარდა ექვსაფსიდიან ტაძართა ტიპის ძეგლებში.

მრავალაფსიდიან ტიპის ჯგუფთა დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ შიდა სივრცე აქ გარეგან პოლიგონშია მოქცეული, რაც სავსებით ბუნებრივ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის იმპულსებსაც ძველი ტეტრაკონქის თემაში ვპოულობთ. მაგალითად მანგლისის ტაძარი, თავისი პირვანდელი სახით წარმოადგენს ამ ტიპის უკვე შემუშავებულ მოცულობას, მართალია, აქ ექსტერიერში უფრო ნაკლები რაოდენობის წახნაგებია, მაგრამ სტრუქტურის არსებითი ნიშნები უკვე მოცემულია. ესაა მრავალწახნაგა აფსიდების დაპირისპირება გარე მრავალწახნაგოვნებასთან და მთელი გარეთა მასების შედგენა ერთნაირი მოხაზულობის ორი საფეხურისგან - ფართო ქვედა კორპუსი და გუმბათის ყელი, რომელიც შემცირებული ზომებით იმეორებს მის მოცულობას. აქვე გვხვდება ის ფორმებიც, რომელნიც გამოყენებული იქნა შემდგომში. ესენია: მცირე კამარების მოთავსება ჯვრის მკლავებს შუა, კედლის სისქეში და დამატებითი შესასვლელების გაჭრა ნაგებობათა სამხრეთ-დასავლეთსა და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილებში. იგივე სურათია მრავალაფსიდიან ძეგლებშიც. კიადმის-ალთის ეკლესიას მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს, ხოლო კაცხს კი ყოველი აფსიდის გვერდით აქვსპატარა სათავსები კედლის სისქეში. რაც შეეხება შესასვლელებს, კარებები მანგლისის ტაძრის მსგავსად აქვს გაჭრილი ბოჭორმასა და კაცხს.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი, კისისხევის პატარა ეკლესია, სადაც გვაქვს ტეტრაკონქის თემის საინტერესო ვარიანტი, თავისებური გარე მოხაზულობით. მრავალწახნაგოვან მოცულობასთან ერთად მასში სხვა საინტერესო ელემენტებიც გვხვდება. ხუროთმოძღვარი ცდილობს უფრო ბუნებრივი კავშირი მონახოს კედლების შიგა და გარე კონფიგურაციებს შორის და ამ მიზნით გარედან საკმაოდ ბრტყელ სამკუთხა ნიშებს ათავსებს. ე.ი. აქ უკვე მრავალწახნაგა მასივზე გამოყენებულია ის ხერხი, რომელსაც იმეორებს ყველა ექვსაფსიდიანი ტაძარი.

როგორც ვხედავთ, საქართველოში უკვე ძველ ეპოქაშივე გვხვდება, თუმცა ჯერ კიდევ რაღაც ჩანასახის სახით, ის ელემენტები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად დაედო მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპს.

აქვე შეიძლება გავიხსენოთ საქართველოში ნაკლებად გავრცელებული არქიტექტურული ფორმა - რვააფსიდიანი ეკლესია, რომელიც ამავე მრავალაფსიდიან ტაძართა ჯგუფს განეკუთვნება. ესენია: ტბეთის თავდაპირველი ეკლესია (სავარაუდოდ 960-70-იანი წ.), ტაოსკარი (IX-Xსაუკუნეთა მიჯნა) და ნოჯიხევი (X-XI საუკუნეთა მიჯნა).

ტბეთის კათედრალის ადრეული ნაგებობა დიდი ზომის რვამკლავიანი ტაძარი იყო, ცენტრში კედლის კუთხეებზე დაყრდნობილი დიდი გუმბათით, რომლის გარშემოც აფსიდები იყო განლაგებული. აღმოსავლეთის ნაწილი ღრმა ბემის მქონე საკურთხეველს ეკავა. დანარჩენი მკლავები მართხკუთხა ფორმის უნდა ყოფილიყო, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ შესაძლოა მათ აფსიდური მოხაზულობაც კი ჰქონოდათ. გარეთ მკლავები ერთმანეთისგან სამკუთხა ნიშებით იყო გამოყოფილი.

ტაოსკარი და ნოჯიხევი უშუალოდ ტბეთის კომპოზიციურ პარალელებს წარმოადგენენ. ტაოსკარის რვა მართხკუთხა მკლავიანი ეკლესია ზომითაც უახლოვდება ტბეთის ტაძარს, მაგრამ მისგან საკურთხეველის ნაწილის გადაწყვეტით განსხვავდება. ტაოსკარში ის გარედან არ განირჩევა დანარჩენი მკლავებისგან და ერთიან 16-წახნაგა კორპუსშია მოქცეული. ტაოსკარისა და ტბეთის ტაძრებისგან განსხვავებით, ნოჯიხევი უფრო მცირე ზომისაა. არსებობს ვარაუდი, რომ საკურთხეველის არქიტექტურული მოწყობა ტბეთში ნოჯიხევის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, X საუკუნეში შემუშავდა და XI საუკუნის შუა წლებამდე არსებობდა კიდევ ერთი ტიპი საეკლესიო ნაგებობისა - ექვსაფსიდიანი ტაძრები. ეს მეტად თავისებური ხურომოდგურული თემია, სადაც აფსიდები რადიალურადაა განლაგებული ცენტრალურ სივრცესთან მიმართებით. მრავალაფსიდიან ტაძრებში გუმბათი კვადრატს კი არ ეყრდნობა, არამედ მის დასაყრდნობად გამოყენებულია აფსიდთა ექვსი შვერილი. გარედან ექვსივე აფსიდი ცილინდრში, ან მავალწახნაგშია ჩასმული ისე, რომ მთლიანად აქ ორი დიდი და მცირე ცილინდრის შერწყმა გამოდის. ქვედა უფრო ფართო ნაწილი მოიცავს თვით აფსიდებს, ხოლო ზემო მონაკვეთი კი წარმოადგენს გუმბათის ყელს. უკვე X საუკუნეში, მრავალაფსიდიან ტაძართა გვერდით ჩნდება ტაძართა ახალი ტიპი, რომელიც ფაქტიურად საფუძვლად დაედება ქართული საკულტო არქიტექტურის მთელ შემდგომ მრავალსაუკუნოვან

განვითარებას, ხოლო მრავალაფსიდიანი თემა კი, მიუხედავად თავისი პოპულარობისა, წყვეტს არსებობას XI საუკუნის მეორე ნახევრის შემდეგ.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ მრავალაფსიდიანი ტაძრის თემა აღმოცენდა და განვითარდა ტეტრაკონქის არქიტექტურული ტიპის საფუძველზე, რომელიც ჩვენი კვლევის ობიექტთან, ქაშუეთის ტაძართან მჭიდროდ არის დაკავშირებული. თბილისში, ქაშუეთის ტაძრის ადგილზე VI საუკუნიდან მდგარა და XVIII საუკუნეში საფუძვლიანად განუახლებიათ სწორედ ტეტრაკონქული ეკლესია. შესაბამისად, დღევანდელი მოხსენების გარკვეული ნაწილები ასახვას ჰპოვებს ჩვენს მომავალ დისერტაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შ. ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. 1971
2. ნ. ალადაშვილი. ნიკორწმინდის რელიეფები. თბილისი 1957
3. ვ. ბერიძე. ძელი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი 1984.
4. ვ. ბერიძე. კაცხის ტაძარი. ქართული ხელოვნება . ტ.3. თბილისი 1950.
5. მ. დვალი. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი . თბილისი 1974
6. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი 1936
7. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ.2. თბილისი 1965
8. ვ. ბერიძე. ქართული ხუროთმოძღვრება 10 საუკუნის მეორე ნახევრიდან 13-14 საუკუნეთა მიჯნამდე. საბჭოთა ხელოვნება N 5, 6. 1987
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ.2, 3. თბილისი 1973 , 1978
10. Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кахетии. Тбилиси, 1959
11. Н. П. Северов, Г. Н. Чубинашвили Кумурдо и Никорцминда. Памятники Грузинской Архитектуры. Москва. 1947
12. В. Беридзе. Место Памятников Тао-кларджети в истории грузинской архитектуры. Тбилиси, 1981
13. ი. გივიაშვილი, ი. კოპლატაძე. ტაო-კლარჯეთი თბილისი 2004
14. დ. ხომტარია. კლარჯეთის ეკლესიები და მონასტრები. „არტანუჯი“. თბილისი, 2005
15. დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხომტარია. „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“.

თბილისი, 2012.